უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 16

2017 წ. "21" 09

ქ.თბილისი

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 211349192) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	სწავლების ენა	განხორციელების ადგილი
1	სამრეწველო ავტომატიზაცია	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტრონული მოწყობილობების ექსპლუატაციაში	120	24	ქართული	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77 კოსტავას ქ. №68

2	მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში	70	24	ქართული	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77 კოსტავას ქ. №68
3	მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მექანიკაში	120	24	ქართული	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77 კოსტავას ქ. №68
4	მექატრონიკა	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია მექატრონიკაში	120	24	ქართული	ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77 კოსტავას ქ. №68

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 21 სექტემბრის №9 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ.№1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
თამარ ზარანდია

მდივანი
თუთა ნარმანია